

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

ცვლილებების სახეობა:

- საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ

საკითხი - საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შემზღვეველი დამატებითი გარემოების განსაზღვრა. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდზე¹ 31/03/2021-ს განთავსებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრი ბექა ოდიშარია შეხვდა საქართველოში ლატვიის ელჩს. მისი კომენტარის (ლატვიის ელჩთან ინგრიდა ლევრენცესთან დიდი ხნის თანამშრომლობა მაკავშირებს, რადგან ლატვიის მეგობრობის ჯგუფის გარდა, საქართველოში ლატვიის საპატიო კონსული ვარ 8 წელიწადია²) გათვალისწინებით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ იგი მოცემულ თანამდებობაზე სავარაუდოდ დანიშნული იქნა 2013 წელს³. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ გვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის⁴ თანახმად, ლატვიის მოქალაქეებთან მიმართებით საზღვრის კვეთის შემდეგი მონაცემები ფიქსირდება, რომელთაგან ლოგიკურია თუ ვივარაუდებთ მათ მიერ აჭარის რეგიონის სტუმრობასაც:

2023	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი
შემოსვლა	3,958	7,452	9,192
გასვლა	3,872	7,159	9,022


¹ <https://parliament.ge/print/news/beka-odisharia-sakartveloshi-latvijs-respublikis-elchs-shekhvda>

² ლატვიის საპატიო კონსულობასთან ერთად, ბექა ოდიშარია იყო და დღემდე არის IX და X მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი. დაჯილდოებული ბ. ოდიშარიას საკითხს და აღვნიშნავ, რომ როგორც დღეს მოქმედი რეგულაციით (საქართველოს მთავრობის 18/06/2014 408 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლი), ასევე, 2013 წლის 31 დეკემბერს მთავრობის 405 დადგენილებით მიღებული წესის მე-8 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილებას საქართველოში უცხო სახელმწიფოს საკონსულო დაწესებულების მეთაურის დაშვების თაობაზე ბრძანებით იღებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, თუმცა მისი დანიშვნის მომენტისათვის (რა თქმა უნდა თუ ხელახლა არ დაინიშნა ვადის გასვლის გამო) თანამდებობრივი კუთხით კითხვები არ იარსებებდა. ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ბ.ო.-სთან ერთად (საპატიო საკონსულოს ადგილსამყოფელი ქალაქი - ზათუმი) საქართველოში ლატვიის საპატიო კონსული (ამჟერად თელავში) 2016 წლიდან არის მიხეილ ხუნდაძე.

https://www.mfa.gov.lv/en/honorary-consuls-latvia?utm_source=https%3A%2F%2Fwww.google.com%2F
<https://knews.ge/?p=28272>

³ თუ გავითვალისწინებთ - დანიშვნის პროცესის ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ დეტალებს, კანდიდატის წარდგენა შესაძლებელია მომხდარიყო 1-2 წლით ადრეც კი, შესაბამისად ლატვიელებთან საერთო ენის გამოხატვა ჯერ კიდევ მ. სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს მომხდარა (რამდენადაც მახსოვს 2012 წელს ლატვიაში ვიზიტის დროს გამართულ ბიზნეს ფორუმისას თან ეხლდა), მაშინ როდესაც იგი იყო ნავთობთან დაკავშირებული საზოგადოების თუ კორპორაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი იქნებოდა. <https://civil.ge/ka/archives/150434>

⁴ https://info.police.ge/page?id=757&parent_id=94



ამას გარდა, თვალთახედვაში არის მისაღები ის, რომ პერიოდულად საქართველოში ტარდება საქართველო ლატვიის ბიზნეს ფორუმი, რეგიონალური ეკონომიკური ფორუმები და სხვ. ინტერნეტში მოძიებული საკონსულო დახმარებისა და საკონსულო მომსახურების შესახებ ლატვიის რესპუბლიკის კანონის⁵ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონსულო ფუნქციებს ასრულებენ დიპლომატიური და საკონსულო სამსახურის უფლებამოსილი თანამდებობის პირები (შემდგომში საკონსულო თანამდებობის პირები), აგრეთვე ლატვიის საპატიო კონსულები, ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საგარეო საქმეთა სამინისტროს შეუძლია საპატიო კონსულის მიერ შეგროვებული საკონსულო შემოსავლები ან მის ხელთ არსებული ნაწილი დატოვოს საპატიო კონსულოში საქმიანობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებად. კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საკონსულო თანამდებობის პირები და საპატიო კონსულები საკონსულო დახმარების გაწევას ახდენენ მოქალაქეთა მიმართვის ან ინფორმაციის მიღების საფუძველზე მოქალაქის იმ დგომარეობაში ყოფნის შესახებ, როცა საჭიროა საკონსულო დახმარების გაწევა. საგულისხმოა მე-9 მუხლის მე-4 პუნქტიც, რომლის თანახმად - საკონსულო დახმარების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირი და საპატიო კონსული უზრუნველყოფენ საკონსულო დახმარების მიმღები პირის მიმართ დისკრიმინაციის დაუშვებლობას მისი ადგილსამყოფელი ქვეყნის ნორმატიული აქტებით დადგენილი დებულებების გათვალისწინებით და ლატვიის საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. საინტერესო რეგულაციებს ადგენს ხსენებული კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის თანახმად საკონსულო დახმარების ფარგლებში, საკონსულო ოფიცრები და საპატიო კონსულები თანამშრომლობენ ლატვიის და უცხოურ დაწესებულებებთან, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებთან, ქვეყნის ფარგლებს გარეთ ევროკავშირის დელეგაციებთან და საგარეო ურთიერთობათა ევროპის სამსახურთან. ხოლო მე-17 მუხლის გათვალისწინებით, საპატიო კონსულს ენიჭება უფლებამოსილება სანოტარო კანონმდებლობით გათვალისწინებული ცალკეული სანოტარო მოქმედებები შეადგინოს/ შეარულოს. აი ამ და კანონით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება მოუწევს ბ. ოდიშარიას საკონსულო ფუნქციების შესრულების საჭიროების შემთხვევაში. თუმცა საგულისხმოა საკონსულო ურთიერთობათა შესახებ ვენის კონვენციის მე-5/36-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების შესრულების დროს წარმდგენი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის მონახულების უფლება, რომელიც იმყოფება სატუსალოში, დაპატიმრებული ან დაკავებულია მათს ოლქში სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად. გამოვიდნენ სატუსალოში მყოფი, დაპატიმრებული ან დაკავებული მოქალაქის სახელით, თუ ის ამის წინააღმდეგი არ არის. ამასთან, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრს მისი, კომიტეტის ან დროებითი საგამოძიებო კომისიის მიმართვით, პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით შეიძლება მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება. ამასთან, საინტერესოა რა პოზიცია გააჩნია უფლებამოსილ პირს ისეთ (შესაძლო) შემთხვევებთან - როდესაც საპატიო კონსული (რომელიც ამავდროულად არის პარლამენტის წევრიც) თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად (სავარაუდოდ შეუფერხებლად) შედის საპატიმრო

⁵ <https://likumi.lv/ta/id/298944-konsularas-palidzibas-un-konsularo-pakalpojumu-likums>

დაწესებულებაში, რა დროსაც მან შესაძლოა ასევე მოინახულოს - ორივე ქვეყნის მოქალაქე. როგორც ჩანს საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილი თანამდებობის პირები, არ თვლიან, რომ ერთდროულად ორი ქვეყნის წარმომადგენლად ყოფნა - შეიძლება იყოს პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი სამსახური/საქმიანობა⁶. ბ. ოდიშარია ასევე არის ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელიც, რომელიც მის საქმიანობასთან მიმართებით გარკვეულწილად ანგარიშვალდებულია პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წინაშე (პარლამენტის რეგლამენტის 190-ე მუხლი)⁷. ზემოხსენებული გარემოების არამართლზომიერების და არაკანონზომიერების მხრივ - უმჯობესი იქნებოდა რიგი სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვა. აქვე, ლოგიკურია - რომ როგორც საქართველოს პარლამენტის წევრი - ბ. ოდიშარია არის საქართველოს მოქალაქე, თუმცა გააჩნია თუ არა მას ორმაგი მოქალაქეობა, შესაბამისად საპატიო კონსულად დანიშნულია თუ არა როგორც ლატვიის მოქალაქე⁸ - ჩემთვის უცნობია. საქართველოს უზენაესი კანონით - პარლამენტის წევრად ყოფნაზე შეზღუდვა მხოლოდ პირის ასაკობრივ ცენზთან და მსჯავრდებულის სტატუსის შემთხვევაში იქმნება. მოცემული საკითხის განხილვისას, ასევე მხედველობაში უნდა მივიღოთ საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის 55-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის თანახმად ყველა პირი, ვინც პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობს, ვალდებულია თავისი პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შეულახავად, პატივი სცეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებსა და წესებს. ისინი აგრეთვე ვალდებული არიან არ ჩაერიონ ამ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. სანამ სხვა სამართლებრივი ნორმების მომველიებაზე გადავალთ, სასურველი იქნებოდა ერთი-ორი სიტყვით აგვეღნიშნა საპატიო კონსულის ინსტიტუტზეც:

- 1963 წლის საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის 68-ე პუნქტში ნათქვამია, რომ თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია თავისუფლად გადაწყვიტოს, დანიშნავს თუ მიიღებს საპატიო საკონსულოს მოხელეებს. ამავე კონვენციის თანახმად, საპატიო კონსულები არ წარმოადგენენ კარიერულ საკონსულო თანამდებობის პირებს, რაზეც ხაზგასმით მიუთითებს პირველი თავის განმარტებანი. საპატიო კონსულები

⁶ პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ბ, ზ და თ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, პარლამენტის წევრის უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება თუ იგი იკავებს სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობას ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას, დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას და ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ახალარჩეული პარლამენტის წევრი ვალდებულია უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან შეწყვიტოს პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი სამსახური/საქმიანობა და უფლებამოსილების ცნობის დღიდან 7 დღის ვადაში პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს წარუდგინოს შეუთავსებელი სამსახურის/საქმიანობის შეწყვეტის დამადასტურებელი საბუთი. ამ მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში პარლამენტის წევრს რეგლამენტით დადგენილი წესით ვადამდე უწყდება უფლებამოსილება.

⁷ <https://parliament.ge/parliament/parliamentary-diplomacy>

⁸ საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის 22-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, როგორც წესი, საკონსულოს თანამდებობის პირები წარმდგენი სახელმწიფოს მოქალაქეები უნდა იყვნენ. საკონსულოს თანამდებობის პირები არ შეიძლება დაინიშნონ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეთაგან, თუ არ იქნა ამ სახელმწიფოს მკაფიოდ გამოხატული თანხმობა, თანაც ეს თანხმობა შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს.

არ არიან წარმდგენი სახელმწიფოს მუდმივი თანამდებობის პირები და როგორც წესი არ იღებენ ანაზღაურებას. მათ შეუძლიათ წარმოადგინონ წარმდგენი სახელმწიფო და დაიცვან მისი მოქალაქეები იმ ქალაქში (საკონსულო ოლქში), სადაც ისინი არიან დაფუძნებულნი - ამ ქვეყნის საელჩოებთან და საკონსულო დაწესებულებებთან ერთად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ არ არის დაფუძნებული ზემოხსენებული წარმომადგენლობითი დაწესებულება - მათ გარეშეც. ვენის კონვენცია არ განასხვავებს შტატის და საპატიო საკონსულო თანამდებობის პირის ფუნქციებს, თუმცა - საპატიო კონსულის შემთხვევაში როგორც წესი შეზღუდული უფლებამოსილება ეკისრებათ⁹. მათ ასევე შესაძლებელია განახორციელონ დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის განკუთვნილი გარკვეული ფუნქციებიც¹⁰. საპატიო კონსულის პრივილეგიები და იმუნიტეტი ენიჭებათ საკონსულო ფუნქციების განხორციელების ფარგლებში¹¹.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს და ამ ვითარებაში, დამატებით შეფასებას უნდა მოითხოვდეს - ამ უფლებამოსილების მატარებელ ერთ-ერთ პირზე, სხვა სახელმწიფოსგან როგორც საპატიო კონსულისთვის მიცემული (თეორიულადაც - ლატვიას საქართველოში შესაძლოა სურდეთ ისეთი საკუთარი ინტერესის გატარება, რომელიც საქართველოს ეროვნულ

⁹ საქართველოს მთავრობის 18/05/2016 221 დადგენილებით დამტკიცებული დებულების საპატიო კონსულის ხელმძღვანელობით საკონსულო დაწესებულების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: ა) მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან, საქართველოსათვის კონკრეტული სახელმწიფოსა და საკონსულო ოლქის პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე; ბ) ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან ან/და რეგიონთან სავაჭრო, ეკონომიკური, სამეცნიერო, ტექნიკური, კულტურული თანამშრომლობის განვითარება/გადრმავება, ინვესტიციების მოზიდვა, ტურიზმის წახალისება; გ) საქართველოს ფიზიკური პირებისა და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა; დ) სამინისტროს მიერ განსაზღვრული სხვა ამოცანებისა და ფუნქციების შესრულება.

¹⁰ საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მე-17 მუხლის თანახმად, 1. სახელმწიფოში, სადაც წარმდგენ სახელმწიფოს არა აქვს დიპლომატიური წარმომადგენლობა და სადაც იგი წარმოდგენილი არ რის მესამე სახელმწიფოს წარმომადგენლობის მიერ, საკონსულოს თანამდებობის პირს შეუძლია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით და მისი საკონსულო სტატუსის შეუცვლელად, ჰქონდეს იმის რწმუნება, რომ შეასრულოს დიპლომატიური აქტები. ასეთი აქტების შესრულება საკონსულოს თანამდებობის პირს არ აძლევს პრეტენზიების უფლებას დიპლომატიურ პრივილეგიებზე ან იმუნიტეტებზე. 2. საკონსულოს თანამდებობის პირს შეუძლია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს შეტყობინების შემდეგ იმოქმედოს, როგორც წარმდგენი სახელმწიფოს წარმომადგენელმა ნებისმიერ მთავრობათაშორის ორგანიზაციასთან. ამ მოვალეობის შესრულებისას მას უფლება აქვს ისარგებლოს ყველა პრივილეგიითა და იმუნიტეტით, რომელსაც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი ან საერთაშორისო ხელშეკრულება ანიჭებს ასეთ წარმომადგენელს, მაგრამ რაც შეეხება მის მიერ ნებისმიერი საკონსულო ფუნქციის შესრულებას, მას იურისდიქციით არა აქვს იმაზე მეტი იმუნიტეტის უფლება, ვიდრე ენიჭება საკონსულოს თანამდებობის პირს ამ კონვენციის თანახმად

¹¹ ამონარიდი საქმიდან - Tortladze v. Georgia საჩივარი N42371/08 - საპატიო კონსულები, რომლებიც მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, არ სარგებლობენ რაიმე სხვა იმუნიტეტით, გარდა მათი ფუნქციის შესრულების დროს განხორციელებულ ოფიციალურ ქმედებებთან მიმართებით https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s_winaagmdeg/tortladze-saqartvelos-winaagmdeg.pdf

ინტერესთან თანხვედრაში არ არის¹²) დირექტიული ხასიათის დავალებების შესაძლო ზეგავლენის მოხდენის ალბათობა საშინაო პოლიტიკის ძირითად მიმართულებების განსაზღვრაზე (შესაბამისად, თუგინდ საშინაო საქმეებში უნებლიე ჩარევა ან აღნიშნულის სურვილი), თუმცა ეს რისკი ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვნად გაიზრდება და შესაძლოა რეალისტური გახდეს თუ საქართველოს პარლამენტის წევრად გვეყოლება იმ სახელმწიფოს წარმომადგენელი (საპატიო კონსული), რომელიც არ წარმოადგენს ევროკავშირის ან/და ნატოს წევრ ქვეყანას. გამომდინარე იქიდან, რომ არსებული პრეცედენტი შესაძლოა განმეორდეს - კანონმდებლობა მოითხოვს რა თანასწორ მიდგომების დანერგვას, საჭიროა სამართლებრივი ბერკეტების უფრო მეტად განსაზღვრა. ასევე აუცილებელია გავითვალისწინოთ საიდუმლო ინფორმაციაზე შესაძლო წვდომის საკითხიც - მაშინ, როდესაც/ თუ საქართველოს პარლამენტის წევრს ხელეწიფება საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა¹³, იგი შესაძლოა გადაცემულ იქნეს სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოსათვის, როგორც საპატიო კონსულის ფუნქციონალური მოვალეობის შესრულებიდან გამომდინარე (მოცემულ ეტაპზე აღარ შევალ მსჯელობაში თუ რამდენად ჩაითვლება მოცემული საპატიო კონსულისთვის დახურული წყაროებით ინფორმაციის მოპოვება). პარლამენტის წევრის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის (მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი) აღნიშნავს, რომ - პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი. ამასთან, რეგლამენტის მე-7 მუხლის თანახმად, პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა საჯარო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. პარლამენტის წევრს ასევე უფლება არ აქვს: ა) უშუალოდ განახორციელოს არაერთგვარადაი საქმიანობა მოგების მიზნით მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად; ბ) უშუალოდ განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან/და საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებანი. პარლამენტის წევრი შეიძლება ეწეოდეს საზოგადოებრივ საქმიანობას. პარლამენტის წევრი შეიძლება ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ და სახელოვნებო საქმიანობას, თუ ეს საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას. ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება გულისხმობს სამეცნიერო, სასწავლო, სახელოვნებო დაწესებულებებში თანამდებობის პირის მიერ საკადრო, დისციპლინურ და სხვა საკითხებზე ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების უფლებამოსილებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონსა და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. აღნიშნულს იმეორებს ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო

¹² RUSSIA'S INFLUENCE AND PRESENCE IN LATVIA - [https://newdirection.online/2018-publications-pdf/ND-RussianInfluenceInLatvia-preview\(low-res\).pdf](https://newdirection.online/2018-publications-pdf/ND-RussianInfluenceInLatvia-preview(low-res).pdf)

¹³ სახელმწიფო საიდუმლოების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკას, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის, თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, შეიმუშავებს საქართველოს პარლამენტი.

ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საგულისხმოა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტით, გარდა ასაკობრივი ცენზისა, კანონმდებლის მიერ განსაზღვრულია პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის კრიტერიუმები (საქართველოში ცხოვრების მინიმუმ 10 წლიანი პერიოდის მოთხოვნა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა მოთხოვნა), რომელთა შორის გამოსაყოფია მოქალაქეობრივი ცენზი. მოქალაქეობის ნიშნით საარჩევნო უფლების შეზღუდვა სავარაუდოდ განპირობებულია პირისა და სახელმწიფოს განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულებით. ეს უკანასკნელი მოქალაქეობის სამართლებრივი ინსტიტუტით არიან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. ამასთან, საქართველოს მოქალაქენი წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს, რაზედაც კონსტიტუციის მე-3 მუხლის შინაარსიც მიუთითებს, საქართველოს ხალხი ქმნის ხელისუფლების ორგანოებს და აკისრებს მათ სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებას, გამომდინარე იქიდან, რომ მოქალაქეობა არა მხოლოდ უფლებებს ანიჭებს პირს, არამედ მოვალეობებსაც - ალოგიკური არ იქნება კითხვის დასმა - თუ რამდენად შესაძლებელია ასეთი მოვალეობის სრულფასოვანი შესრულება სხვა ქვეყნის წარმომადგენლად ყოფნის პირობებში. ასევე მხედველობაშია იმუნიტეტის საკითხი, რომელიც, როგორც საპატიო კონსულს და საქართველოს პარლამენტის წევრს შეიძლება გააჩნდეს. ამ მხრივ - ვენის კონვენცია გამომდინარე იქიდან, რომ ვფიქრობ საქართველოს პარლამენტი/ ხელისუფლების ორგანოები (გადაწყვეტილების მიმღები პირები), მათ შორის ირიბად არ უნდა წარმოადგენდნენ სხვათა ინტერესებს, მიზანშეწონილია საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანა. კერძოდ:

- საქართველოს კონსტიტუციაში (მუხლი 37, პუნქტი 4) საქართველოს პარლამენტის წევრად ყოფნის შემზღუდველი გარემოების განსაზღვრა (სხვა ქვეყნის წარმომადგენლად ყოფნის დაუშვებლობა). ასევე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით (მე-7 მუხლი) ასევე გათვალისწინებული ყოფილიყო საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის 55-ე მუხლით განსაზღვრული ზემოხსენებული გარემოება და საქართველოს პარლამენტის წევრის ამავდროულად სხვა ქვეყნის წარმომადგენლად ყოფნის დაუშვებლობა.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [REDACTED] მობ.: [REDACTED]; ელ.
ფოსტა: [REDACTED]; რეგისტრაციის
ადგილი: [REDACTED]

07/01/2024



Vienna convention on consular Relations

Consular functions

- Article 5 of the convention defines the consular functions.
- protecting in the receiving State the interests of the sending State and of its nationals, within the limits permitted by international law.
- Furthering the development of commercial, economic, cultural and scientific relations between the sending State and the receiving State.
- Ascertaining by all lawful means conditions and developments in the commercial, economic, cultural and scientific life of the receiving State
- Issuing passports and travel documents to nationals of the sending State, and visas or appropriate documents to persons wishing to travel to the sending State
- Subject to the practices and procedures obtaining in the receiving State, representing or arranging appropriate representation for nationals of the sending State before the tribunals and other authorities of the receiving State

FACILITIES, PRIVILEGES AND IMMUNITIES

- The sending State shall have the right to the use of its national flag and coat-of-arms in the receiving State
- The authorities of the receiving State shall not enter that part of the consular premises which is used exclusively for the purpose of the work of the consular post except with the consent of the head of the consular post
- Receiving State is under a special duty to take all appropriate steps to protect the consular premises against any intrusion or damage
- The receiving State shall permit and protect freedom of communication on the part of the consular post for all official purposes.
- consular officers shall be free to communicate with nationals of the sending State and to have access to them.
- competent authorities of the receiving State shall, without delay, inform the consular post of the sending State if a national of that State is arrested or committed to prison or to custody pending trial or is detained in any other manner

About convention

- The Vienna Convention on Consular Relations of 1963 is an international treaty that defines a framework for consular relations between independent states.
- A consul performs two functions: protecting in the host country the interests of their countrymen, and furthering the relations between the two states.
- Consular and Diplomat work out of the same premises, and under this treaty they are afforded most of the same privileges.
- Immunity given to consular is similar to diplomat. The treaty has been ratified by 179 states.

Protection of consular premises

- the receiving State shall, even in case of armed conflict, respect and protect the consular premises, together with the property of the consular post and the consular archives
- the sending State may entrust the custody of the consular premises, together with the property contained therein and the consular archives, to a third State acceptable to the receiving State
- the sending State may entrust the protection of its interests and those of its nationals to a third State acceptable to the receiving State.

Person declared non grata

- The receiving State may at any time notify the sending State that a consular officer is persona non grata or that any other member of the consular staff is not acceptable.
- In that event, the sending State shall, as the case may be, either recall the person concerned or terminate his functions with the consular post.
- If the sending State refuses or fails within a reasonable time to recall the person, the receiving State may, as the case may be, either withdraw the exequatur from the person concerned or cease to consider him as a member of the consular staff

RE: საჯინფო სავატიო

MFA of Georgia <mfageo@mfa.gov.ge>

Thu 12/21/2023 6:12 AM

To: niko nikoladze <nikonikoladze@hotmail.com>

48070/01

From: niko nikoladze <nikonikoladze@hotmail.com>

Sent: Thursday, December 21, 2023 9:44 AM

To: MFA of Georgia <mfageo@mfa.gov.ge>

Subject: საჯინფო სავატიო

რეგ ნომ

This email was scanned by Bitdefender

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელ პირს


მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ნ 01008015820
ელ. ფოსტა nikonikoladze@hotmail.com მობ.: 599
404424

განცხადება

საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდზე 2021 წლის 31 მარტს განთავსებული ინფორმაციაში¹ აღნიშნულია პარლამენტის წევრის - ბექა ოდიშარიას კომენტარი - „ლატვიის ელჩთან ინგრიდა ლევრენცესთან დიდი ხნის თანამშრომლობა მაკავშირებს, რადგან ლატვიის მეგობრობის ჯგუფის გარდა, საქართველოში ლატვიის საპატიო კონსული ვარ 8 წელიწადია. რეპლიკა - ბექა ოდიშარია სავარაუდოდ 2013 წელს იქნა დანიშნული საპატიო კონსულად. გთხოვთ, საჯარო ინფორმაციის სახით მაცნობოთ

- საქართველოში ლატვიის საპატიო კონსული (ბექა ოდიშარია) საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელად დანიშნული არის, როგორც საქართველოს მოქალაქე თუ როგორც ლატვიის მოქალაქე?
- რამდენჯერ განხორციელდა დანიშვნა ან/და უფლებამოსილების ვადის გაგრძელება ზემოხსენებული პირისათვის და როდის?
- მოხდა თუ არა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მოქალაქეობის ან/და პოლიტიკური სტატუსის მატარებლის მხრივ შეთანხმება?

21/12/2023



¹ <https://parliament.ge/media/news/beka-odisharia-sakartveloshi-latviis-respublikis-elchs-shekhvda>

ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი ბექა ოდიშარია და ჯგუფის წევრები ლატვიის სოფლის მეურნეობის მინისტრს, დიდზის შმიდტს შეხვდნენ



ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ბექა ოდიშარია და მეგობრობის ჯგუფის წევრები, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ნოდარ ტურძელაძე, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გელა სამხარაული, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დავით კაჭარავა და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლევან მგალობლიშვილი, ლატვიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ლატვიის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრს, დიდზის შმიდტს შეხვდნენ.

როგორც „ქართული ოცნების“ პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი.

ამ კუთხით ლატვიის მთავრობის წევრმა, დიდზის შმიდტმა გამოხატა მხარდაჭერა და გამოთქვა სრული მზაობა, რომ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს კონსულტაციებში.

როგორც ბექა ოდიშარიამ აღნიშნა, მნიშვნელოვანია ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის შეხვედრა ლატვიის მთავრობის წარმომადგენელთან, ჩვენი ქვეყნის ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის მხარდაჭერის, ასევე სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით, ვინაიდან საქართველო აგრარული ქვეყანაა.

„განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფს შეემატა ახალი წევრი - ლატვიის რესპუბლიკის სეიმის თავმჯდომარე ედვარდს სმილტენი, რაც ძალიან მემამყება. ლატვია - საქართველოს მეგობრობას დიდი ტრადიციები აქვს. ჩვენ მუდმივად თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ ვისწრაფვით. საქართველო ისტორიულად არის ევროპის განუყოფელი ნაწილი და ყოველთვის ისწრაფოდა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისკენ. სიამაყით აღვნიშნავ, რომ 9 წელია ვარ ლატვიის საპატიო კონსული საქართველოში. ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. ყოველთვის ვცდილობ გავაკეთო საუკეთესო ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების კიდევ უფრო დასაახლოებლად“, - განაცხადა ბექა ოდიშარიამ.

აქვე მან აღნიშნა, რომ თბილისში არაერთხელ უმასპინძლა ლატვიის ახლადარჩეულ პრეზიდენტს ედგარს რინკევიჩს, რომელიც პრეზიდენტობამდე საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას იკავებდა, ისევე როგორც არაერთხელ იყო მისი სტუმარი საპატიო კონსულების ტრადიციული მიღების ფარგლებში. შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე საქართველოს მთავრობამ დიდ წარმატებებს მიაღწია, როგორებიცაა: ვიზალიბერალიზაცია; თავისუფალი ვაჭრობა; ევროპერსპექტივის მიღება და ა.შ. ამასთან, გასული წლების მსოფლიო პანდემიის მიუხედავად, საქართველოს აქვს ორნიშნა 10%-იანი ეკონომიკური ზრდა. IMF-ის და მსოფლიო ბანკის საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზით, საქართველოს ექნება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა რეგიონში და ევროპის მასშტაბით. აღინიშნა, რომ მსგავსი ეკონომიკური აღმავლობა დიდწილად განაპირობა მთავრობის გონივრულმა სამშვიდობო პოლიტიკამ.

„რაც შეეხება აგრარულ მიმართულებას, აღინიშნა, რომ ამ სფეროში საქართველო და ლატვია მჭიდროდ თანამშრომლობენ. კერძოდ, 2016 წლიდან, საქართველო ყოველწლიურად მონაწილეობს ლატვიის რესპუბლიკის ქ. რიგაში საერთაშორისო გამოფენაზე “Riga Food, სადაც 2022 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი 20-მდე ქართული კომპანია იყო წარმოდგენილი. ამ პლატფორმის ფარგლებში, ორი ქვეყნის სამინისტროებს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის ძირითადი მიზნებია: საქართველოსა და ლატვიას შორის სოფლის მეურნეობის კუთხით ურთიერთობების გაძლიერება და განვითარება; გამოცდილების გაზიარება აგრარულ სფეროში, ევროპულ ბაზარზე საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდა, მათ შორის ლატვიაში ყურძნის ნატურალური ღვინოების, სპირტიანი სასმელების, მინერალური და მტკნარი წყლების, თხილის, კენკროვანი და სხვა აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტირება. დასასრულს ბექა ოდიშარიამ განაცხადა, რომ წელს შესრულდა 30 წელი, რაც 1993 წლის 11 მარტს, ლატვიასა და საქართველოს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები და მიულოცა შეხვედრის მონაწილეებს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ირაკლი ყურაშვილი და საელჩოს უფროსი მრჩეველი, მიხეილ სულაბერიძე. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები ლატვიის სეიმში მეგობრობის ჯგუფთან, დარგობრივი კომი-

1/7/24, 8:41 PM

[interpressnews.ge/ka/article/759215/print/](https://www.interpressnews.ge/ka/article/759215/print/)

ტეტების თავმჯდომარეებთან და სხვა მაღალი რანგის პირებთან, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბექა ოდიშარია საქართველოში ლატვიის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

მედია და საზოგადოება | 31 მარტი 2021




დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი, ბექა ოდიშარია ლატვიის რესპუბლიკის ელჩს საქართველოში ინგრიდა ლევრენცეს შეხვდა.

მხარეებმა ისაუბრეს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე. ბექა ოდიშარიამ ელჩს დეტალურად გააცნო არსებული სიტუაცია და პოზიციები, რომელიც „ქართული ოცნების“ ლიდერების მიერ გუშინ მოლაპარაკების დასრულებისას გაჟღერდა. ისაუბრეს ქვეყნებს შორის მომავალი ურთიერთობების თაობაზე.

„ლატვიის ელჩთან ინგრიდა ლევრენცესთან დიდი ხნის თანამშრომლობა მაკავშირებს, რადგან ლატვიის მეგობრობის ჯგუფის გარდა, საქართველოში ლატვიის საპატიო კონსული ვარ 8 წელიწადია. შეხვედრაზე ჩვენ კიდევ ერთხელ მიმოვიხილეთ ის შესაძლებლობები, რისი რეალიზების პერსპექტივებიც არსებობს ამ ფორმატში. მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაზე საუბრისას, ჩვენ

განვიხილეთ ის რთული დამოკიდებულება, რომლითაც გამოირჩევა ოპოზიცია ევროპული ინიციატივის მიმართ, გავაანალიზეთ ოპოზიციის ძალიან ხისტი დამოკიდებულება იმ წითელი ხაზების მიმართ, რაზეც ევროპელები კონსტრუქციული კონსულტაციებისკენ მოგვიწოდებენ და რის დემონსტრირებასაც „ქართული ოცნება“ მუდმივად ცდილობს. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ ჩვენ ვაგრძელებთ მჭიდრო თანამშრომლობას, რადგან ლატვია არის ქართველი ხალხის და ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი დიდი მეგობარი ევროკავშირში“, - განაცხადა ბექა ოდიშარია.





პოლიტიკა სამართალი საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი სამხედრო კულტურა ანონსი სხვა

1 USD	2.6869
1 EUR	2.9448
100 RUB	2.9445

ჩანერეთ სპ

მთავარი პოლიტიკა სამართალი საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი სამხედრო კულტურა ანონსი სხვა

პოლიტიკა 31.03.2019 / 12:30

ოპი უკრაინაში სრული ინფორმაცია

დღის ბოლო სინხლეები

07.01.2024 / 19:05

ენტონი ბლინკენი კატარში ჩავიდა


07.01.2024 / 19:03

მარნეულში ტრადიციული საშობაო სადღესასწაულო მსვლელობა, ალილო გამართა

07.01.2024 / 18:11

პარლამენტის თავმჯდომარემ და დეპუტატებმა ალილოს მონაწილეებს საშობაო ნობათი გადასცეს

ყველა სინხლე



დღის თემა




06.01.2024 / 23:29

პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

ყველა სტატია

ინტერვიუ



05.01.2024 / 13:29

რამაზ საყვარელიძე - თუ ივანიშვილმა შეცვალა პოლიტიკური სპექტრი და შემოიყვანა რეალური ძალები, ეს გააძლიერებს პოლიტიკურ კონკურენციას ისე, რომ მერე შეიძლება სტაგნაცია სანატრელი გაგვიხოს

ყველა სტატია

ბექა ოდიშარიას ინიციატივით, საქართველოში საზღვარგარეთის საპატიო კონსულების ავტომობილებისთვის დიპლომატიური ნომრების გაცემა იქნება შესაძლებელი



დღისასორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელი ბექა ოდიშარია პარლამენტს საკანონმდებლო ცვლილებებს სთავაზობს, რომლის მიხედვით, საქართველოში საზღვარგარეთის სახელმწიფოს საპატიო კონსულის ავტომობილისათვის დიპლომატიური საწარმო ნომრის გაცემა იქნება შესაძლებელი.

კანონის მოქმედი რედაქციით, არ არის გათვალისწინებული საქართველოში საპატიო კონსულისათვის, საერთაშორისო სამართალით მინიჭებული პრივილეგიები და იმუნტეტი. საპატიო კონსულები დღეს ჩვეულებრივი საწარმო ნომრებით სარგებლობენ.

